ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მორიგი წარმატება

ჩვენს სტუდენტებს საშუალება ექნებათ ქართულ ენაზე ისწავლონ ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი დაპროგრამების ენა Python, რომლის თარგმნის ოფიციალური უფლება მოვიპოვეთ Pearson ის საგამომცემლო სახლიდან.

ამა წლის 12 აპრილს მონაწილეობა მივიღეთ ამერიკის საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, რომელიც შეეხებოდა ამერიკელი ავტორების წიგნის თარგმნის პროგრამას. პროგრამის მიზანი გახლდათ ქართველი სტუდენტებისათვის, მკვლევარებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის სახელმძღვანელოებსა და თანამედროვე პოპულარულ ლიტერატურაზე ფინანსური და ფიზიკური ხელმისაწვდომობა.

ძალიან დიდ მადლობას ვუხდით ამერიკის საელჩოს ამ შესაძლებლობისთვის!

ჩვენს სტუდენტებს ვულოცავთ ამ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.